

# ჩინეთის საკრედიტო პოლიტიკის ხაზგანხილვა

თბილისი  
2024



წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ დაინტერესებული მკითხველისთვის მოკლედ მოგვთხრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი პრობლემების შესახებ, კონკრეტული ქვეყნების მაგალითებით.

რატომ არის ჩვენთვის აქტუალური?

მოგეხსენებათ ქართული ოცნების მთავრობამ 2023 წლის ივლისის სტრატეგიული განაცხადის ერთ ერთ მიღწევად სწორედ ჩინეთიდან კრედიტის მიღების მზარდი შესაძლებლობა დაასახელა. 2023 წელს საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილი სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების თანახმად, ჩინეთი საქართველოს სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად „პრეფერენციული/შეღავათიანი სესხების პირობებს [შეისწავლის](#)“.

ძირითადი პრობლემები რომელსაც სახელმწიფოები აწყდებიან ჩინეთიდან ჭარბი საკრედიტო რესურსების მიღების შემთხვევაში:


- ხელშეკრულებების კონფიდენციალურობა;
- არა „პარიზის კლუბს“;
- ვალის რესტრუქტურისაციის სირთულე;
- ჯვარედინი დეფოლტის პირობები;
- ვალის უზრუნველყოფის მექანიზმები;



## შესავალი

2013 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სი ძინპინმა წამოაყენა ახალი ამბიციური გეგმა, ჩინეთის „სარტყლისა და გზის“ ინიციატივა, რომელსაც, ასევე, „ახალი აბრეშუმის გზას“ უწოდებენ. შედეგად, საფუძველი ჩაეყარა ფართო ინფრასტრუქტურულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთის და დანარჩენი მსოფლიოს დამაკავშირებელი ორი ძირითადი სავაჭრო გზის ჩამოყალიბებას. ინიციატივა მიზნად ისახავს ჩინეთისთვის დამოუკიდებელი ბაზრის შექმნასა და მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალაუფლების გაზრდას. გასული ათწლეულის განმავლობაში, პროექტმა მოიცვა აფრიკის, აზია-წყნარი ოკეანის და ლათინური ამერიკის რიგი ქვეყნები. აღსანიშნავია, რომ დღემდე, „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში, დაახლოებით 147-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ან გამონატა ინტერესი თანამშრომლობისათვის.

2023 წელს „სარტყლისა და გზის“ ფორუმზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სი ძინპინმა აღნიშნა, რომ ჩინური ბანკები, კერძოდ კი, ჩინეთის განვითარების ბანკი და ექსპორტ-იმპორტის ბანკი (ექსიმბანკი), 350 მილიარდი იუანის ღირებულების დაფინანსების გაცემას გეგმავდნენ. სი ძინპინის განცხადება, ერთი შეხედვით, დადებით მოვლენას წარმოადგენდა ფორუმის მონაწილე ბევრი (განვითარებადი) ქვეყნისთვის, თუმცა, ინდონეზიის პრეზიდენტის, ჯოკო ვიდოდოს გამოსვლამ განვითარებადი სახელმწიფოების შიშები ნათელი გახადა. მან აღნიშნა, რომ „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის პროექტებმა „არ უნდა გაართულოს (ქვეყნების) ფისკალური მდგომარეობა“.




წყარო: <https://www.euronews.com/business/2023/10/18/china-announces-billions-in-investments-in-developing-countries-and-pledges-market-opening>



## მონინავე „ვალის შემგროვებელი“ („DEBT COLLECTOR“) ქვეყანა

საერთაშორისო განვითარების დაფინანსების კუთხით ჩინეთი არის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო, რომელმაც 2013 წლიდან აქტიურად დაიწყო საგარეო სესხების გაცემა განვითარებადი სახელმწიფოებისათვის. 2013-2017 წლებში დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებისათვის გაცემული ფინანსების მაჩვენებლით ჩინეთმა აშშ-ის შესაბამის მაჩვენებელს გადააჭარბა. 2022 წლის დასასრულისთვის სახალხო რესპუბლიკის მიერ დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისათვის გაცემული საგარეო ვალები 180 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. თუმცა, გასული ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის სესხების მომხმარებელი ქვეყნების უმრავლესობა ამჟამად ვალის დაბრუნების პრობლემის წინაშე დგას. დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ჩინეთის ვალების 55% უკვე ძირითადი თანხის დაფარვის პერიოდში შევიდა. ბევრი მოვალე ქვეყანა გადახდისუნარო მდგომარეობაშია. შესაბამისად, ჩინეთის, როგორც ვალის გამცემი ქვეყნის როლი „ვალის შემგროვებლის“ პოზიციისკენ იწაცვლებს. ეს კი, ჩინეთის საგარეო პოლიტიკური ნარატივებისთვის საფრთხის შემცველ ცვლილებას წარმოადგენს, რადგან პეკინი სახალხო რესპუბლიკის სესხების პოლიტიკას მხოლოდ კეთილი ნების გამოსატულებად წარმოაჩენს.




წყარო: <https://www.statista.com/chart/19642/external-loan-debt-to-china-by-country/>

## ჩინეთის საგარეო სესხების „კონფიდენციალურობა“

მრავალი სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი საკრედიტო ინსტიტუტისგან განსხვავებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სესხების პოლიტიკა არ არის ერთიანი და თანმიმდევრული. საგარეო ვალებს ძირითადად უზრუნველყოფენ ჩინეთის სამთავრობო ინსტიტუტები (სახელმწიფო ბანკები, სახელმწიფო კომერციული ბანკები, სახელმწიფო კომპანიები), რომლებიც გამოირჩევიან ინდივიდუალური სესხების პოლიტიკითა და ინსტრუმენტებით. თუმცა, მთლიანობაში, მათ მიერ ოფიციალური საგარეო სესხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებულია, რითაც ჩინეთის ვალების გაცემის პრაქტიკა სხვა მრავალმხრივი ინსტიტუტების მიდგომისგან განსხვავდება. ამ კუთხით, აღსანიშნავია, რომ 1999 წლიდან ჩინეთის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება პირდაპირ იყო დაკავშირებული ქვეყნის ინტერესებთან. ახალი სტრატეგიის ინიცირებას საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში სავაჭრო ბალანსის პროფიციტის შედეგად მოსალოდნელმა პრობლემებმა. კერძოდ, სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო ბალანსის პროფიციტი იწვევდა საგარეო სავალუტო რეზერვების შემოღინებას, რაც ზრდიდა ინფლაციისა და ვალუტის რევალვაციის რისკს. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდისთვის შიდა ბაზარზე შესაფერისი და საჭირო პირობების შესაქმნელად, მთავრობამ გადაწყვიტა ქვეყნის საგარეო სავალუტო რეზერვების საზღვარგარეთ ინვესტირება. ამიტომ, პეკინმა წამოიწყო „ღია კარის“ („Going out“) სტრატეგია, ხოლო ჩინეთის საგარეო სესხებმა მზარდი ხასიათი შეიძინა.

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას მრჩეველი გრანტ ტ. ჰარისი აღნიშნავდა, რომ „ჩინეთის სესხების უნიკალურობა მისი პირობების საიდუმლოებაშია“. ფაქტია, რომ ჩინეთის სამთავრობო ინსტიტუტებთან ხელმოწერილი ოფიციალური საკრედიტო ხელშეკრულებების ერთ-ერთი მთავარი პუნქტი კონფიდენციალურობაა, რაც ხელშეკრულების პირობების ან თავად კონტრაქტის არსებობის ფაქტის გასაიდუმლოებას გულისხმობს. 2018 წლისათვის ჩინეთისგან ვალების მიღებულ ქვეყნებს მსოფლიო ბანკის ვალების ანგარიშგების სისტემაში სახალხო რესპუბლიკისგან მიღებული სესხების 50 %-იც კი არ ჰქონდათ რეგისტრირებული. ამავდროულად, არც სახალხო რესპუბლიკა აქვეყნებს ოფიციალურ მონაცემებს გაცემული სესხების ოდენობის შესახებ.



წყარო: <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0022199621001197>

ჩინეთის სესხების გაუმჯობესება პრობლემურია ორი თვალსაზრისით:

1

ერთი მხრივ - სახელმწიფო ვალის შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოების უფლებას წარმოადგენს. გადასახადის გადამხდელებმა უნდა იცოდნენ თუ საბიუჯეტო ხარჯების რა ნაწილი ეთმობა საგარეო ვალების გადახდას;

2

მეორე მხრივ კი, საერთაშორისო დონეზე, სესხის აღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სხვა გამსესხებლებს უნდა შეეძლოთ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტი ანალიზი.

სწორედ კონფიდენციალური სასესხო პოლიტიკის პრაქტიკის გათვალისწინებით, ჩინეთი, სხვა ორმხრივ თუ მრავალმხრივ კრედიტორებთან შედარებით, მუდმივად უპირატეს პოზიციაშია.

## ეკვადორი

მეტი სიცხადისთვის, გავიხსენოთ **ეკვადორის** მაგალითი. 2016 წლის 25 აპრილს ეკვადორის ფინანსთა სამინისტრომ და ჩინეთის განვითარების ბანკმა ხელი მოაწერეს სასესხო ხელშეკრულებას. შეთანხმების დადებიდან ხანმოკლე პერიოდში ეკვადორის გამომძიებელმა ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს ვიდეო სესხის პირობების შესახებ. შემთხვევამ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი და დისკუსია გამოიწვია ვალის მიზანშეწონილობის შესახებ. ეკვადორელების უკმაყოფილება შეიძლება აიხსნას იმით, რომ სასესხო ხელშეკრულების პირობები უმეტესწილად ჩინეთის ინტერესების სასარგებლოდ იყო მიმართული. ამავდროულად, შეთანხმების პირობები იყო ჩახლართული. კერძოდ, სასესხო ხელშეკრულება ეფუძნებოდა ეკვადორსა და ჩინურ კომპანიებს შორის ნავთობის შესყიდვის შესახებ შეთანხმებას. გარდა ამისა, ეკვადორის შემთხვევამ ცხადყო, რომ ჩინეთის მიერ გაცემული სასესხო ხელშეკრულებები გაუმჯობესებულა და გამონაკლისი შემთხვევების გარდა, უმეტეს შემთხვევაში გადასახადის გადამხდელებს არ აქვთ ინფორმაცია თუ რა პირობებით აქვთ მიღებული ჩინეთის საგარეო სესხები.

ზემოთ აღწერილი შემთხვევის შემდგომ, ჩინეთის განვითარების ბანკმა, კონფიდენციალურობის პუნქტზე დაყრდნობით, წერილობით მიმართა ეკვადორის ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა ინციდენტის გამოძიება, ისევე როგორც მიყენებული რეპუტაციული ზიანის აღმოფხვრა. საყურადღებოა, რომ ბანკის მიმართვა შეიცავდა ღია მუქარას, რომ ამ შემთხვევისადმი სამინისტროს არაადეკვატური რეაგირების შემთხვევაში, ეკვადორი ვერ მიიღებდა სამომავლოდ გათვალისწინებულ დაფინანსებას.

## „არა პარიზის კლუბს“

განვითარებად ქვეყნებში ჩინეთის ვალების გადაუხდელობით გამოწვეულ კრიზისს ამწვავებს სახალხო რესპუბლიკასთან პირისპირ მოლაპარაკებების სირთულე. კერძოდ, უმეტესი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საკრედიტო ინსტიტუტებთან დადებული ხელშეკრულებები, ხშირ შემთხვევაში, შეიცავს პუნქტს - „არა პარიზის კლუბს“. ამგვარი ჩანაწერის მიზანია, მოვალე სახელმწიფოს წართვას უფლება, ვალის რესტრუქტურირების მიზნით მიმართოს „პარიზის კლუბს“<sup>1</sup>. კლუბის წევრობა მოითხოვს ინფორმაციის გაზიარებას გაცემული საგარეო ვალების შესახებ. შესაბამისად, ჩინეთის ოფიციალური სესხების პოლიტიკის გათვალისწინებით, სახალხო რესპუბლიკა არ არის აღნიშნული კლუბის წევრი. ეს ფაქტორი ჩინეთს სხვა კრედიტორებთან და თავად მოვალე ქვეყანასთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ერთი მხრივ, საერთაშორისო გამსესხებლებს არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია პეკინის საგარეო ვალების შესახებ. მეორე მხრივ კი, განვითარებადი ქვეყანა, რომელიც ვალის დაბრუნებისას დაბრკოლებებს წააწყდება, იძულებულია, მოლაპარაკებები აწარმოოს ისევ თავად სახალხო რესპუბლიკასთან, რომელსაც საკუთარი ინტერესების დასაცავად ძლიერი ბერკეტები გააჩნია.

ჩინეთთან ორმხრივი მოლაპარაკებების დროს მოვალე ქვეყნის მიერ საკუთარი ინტერესების დაცვის სირთულეს ცხადყოფს იმ სახელმწიფოების შემთხვევები, რომლებმაც ვალის გადაუხდელობის სანაცვლოდ პეკინს ტერიტორიების/ სუვერენიტეტის ნაწილი დაუთმეს.



Français



<sup>1</sup> „პარიზის კლუბი“ არის არაფორმალური ორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც კრედიტორების ჯგუფი მოვალე ქვეყანასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს ვალის პირობების ან რესტრუქტურირების შესახებ.





## შრი-ლანკა

ქვეყანას 2010 წელს, ჩინეთის კომპანიის მიერ აშენებული ჰამბანტოტას პორტის ვალების გადახდისას პრობლემა შეექმნა. 2017 წელს შრი-ლანკასა და ჩინურ კომპანიას (“China Merchants Port”) შორის ხელი მოეწერა 99-წლიან საიჯარო ხელშეკრულებას, რომელიც პორტის 70%-ის ჩინური მხარის სასარგებლოდ პრივატიზებას ითვალისწინებდა.



2022 წლის 16 აგვისტოს მუშებმა ჰამბანტოტას პორტში ჩინეთის დროშა [გამალეს](#)



Khujand

Konibodom

## ტაჯიკეთი

2022 წლის მონაცემებით ტაჯიკეთის საგარეო ვალის 60 %-ს ჩინეთის ექსპორტი-იმპორტის ბანკისგან მიღებული სესხი შეადგენდა. ტაჯიკეთი არის ერთ-ერთი კლასიკური მაგალითი იმ დაბალი ან საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისა, რომლებიც ჩინეთის საგარეო სესხებს ინტენსიურად იღებენ, თუმცა, საბოლოოდ, ვედარ ახერხებენ ვალის გასტუმრებას. ტაჯიკეთის შემთხვევაში, ვალის გადაუხდელობამ შედეგად გამოიღო ტერიტორიების ნაწილის/სუვერენიტეტის დათმობა. 2011 წელს ქვეყანამ ჩინეთს გადასცა პამირის ქედთან ახლოს მდებარე 1000 კვ. კმ-ის ფართობის ტერიტორია. მხარეებმა აღნიშნული მოვლენა შეაფასეს, როგორც „საუკუნოვანი სასაზღვრო დავის“ მოგვარება, თუმცა, საყურადღებოა, რომ ამ დროისთვის ჩინეთი ტაჯიკეთის ეკონომიკაში ყველაზე დიდი ინვესტორი ქვეყანა იყო. 2019 წელს აღმოჩნდა, რომ ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვრიდან 12-14 კმ-ის მოშორებით, ტაჯიკეთის მთიანი ბაღაშმანის პროვინციაში 2017 წლიდან ფუნქციონირებს საიდუმლო ჩინური ბაზა. ნიშანდობლივია, რომ სამხედრო ბაზა მდებარეობს „სარტყლისა და გზის ინიციატივისთვის“ მნიშვნელოვან ადგილას, ავღანეთის ვახანის კორიდორთან ახლოს. 2016 წელს ჩინურმა კომპანიამ, „TBEA“-მ ღუშანბეში ააშენა 400 მეგავატიანი ელექტროსადგური. 349 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროექტში ტაჯიკეთის მთავრობის ფინანსური კონტრიბუცია მხოლოდ 17.4 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. 2019 წელს ტაჯიკეთმა ჩინურ კომპანიას (TBEA), ვალის გადაუხდელობის გამო, ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ოქროს საბადოებით სარგებლობის უფლება მიენიჭა.

## მონტენეგრო

2014 წელს მონტენეგრო და ჩინეთი შეთანხმდნენ სარკინიგზო პროექტის შესახებ, რომელიც დააკავშირებდა მონტენეგროს სანაპირო ქალაქსა და სერბეთის დედაქალაქ ბელგრადს. შეთანხმების ფარგლებში, მონტენეგრომ ჩინეთის ექსიმბანკისგან 800 მლნ ევრო მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ეკონომიკურად წარუმატებელი ჩანდა, მხარეებმა თანამშრომლობა მაინც გააგრძელეს. 2021 წლისთვის ქვეყანაში ჩინეთის საგარეო სესხი 994 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც მონტენეგროს პატარა ეკონომიკისთვის არაპროპორციულ მაჩვენებელს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, დეფოლტის შემთხვევაში, ჩინეთს უზრუნველყოფის სახით, მონტენეგროს ტერიტორიების ნაწილის ან აქტივების კონტროლის უფლება ეძლევა.


Podgorica

# საბარეო ვალების დაბრუნების გარანტიების ჩინეთის სახელმწიფო მექანიზმები

ჩინეთის სასესხო ხელშეკრულებების უმრავლესობა შეიცავს „ჯვარედინი დეფოლტის“<sup>2</sup> პუნქტებს, რაც მოვალეს ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ზღუდავს. „ჯვარედინი დეფოლტის“ დებულების თანახმად, თუ დებიტორი ქვეყანა ხელშეკრულების მიღმა არსებულ სხვა ვალდებულებებს ვერ შეასრულებს, ავტომატურად, დეფოლტის პოზიციაში აღმოჩნდება. აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირ შემთხვევაში „სხვა ვალდებულებებში“ იგულისხმება

- ჩინეთის მიერ დაფინანსებული სხვა პროექტები.
- ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა,
- თავად დებიტორ ან გამსესხებელ ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები,
- ან კანონმდებლობაში ცვლილებები, და სხვა.

თითული ეს პირობა, ისევე როგორც სხვა მსგავსი გარემოებები ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობადაა მიჩნეული. რასაკვირველია, აღნიშნული პუნქტი განვითარებად ქვეყანაში ზრდის ჩინეთის პოლიტიკურ გავლენას და ზღუდავს მოვალე ქვეყნის არჩევანს.



მაგალითისთვის უნდა გავიხსენოთ ყირგიზეთის ფინანსთა სამინისტროსა და ჩინეთის ექსიმბანკს შორის 2015 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულება. შეთანხმების თანახმად, თუ დებიტორ/კრედიტორ ქვეყანაში მოხდება ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომ დებიტორი/კრედიტორი ვერ მოახერხებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, გამსესხებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს, დაფინანსება შეწყვიტოს და ვალის დაბრუნება მოითხოვოს.

ჩინეთის სესხების პოლიტიკისათვის დამახასიათებელია სესხის უზრუნველყოფის დებულებები, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს

- საგირავნო დაქვითვას,
- ქონების ჩამორთმევის უფლებას,
- დეკონირებას ან სპეციალური ანგარიშის შექმნას.

ჩინეთის სახელმწიფო ბანკების შემთხვევაში, სესხის უზრუნველყოფა ძირითადად დეკონირების ან სპეციალური ანგარიშის სახით ხდება.

<sup>2</sup> ჯვარედინი დეფოლტი (Cross-default) - ობლიგაციების ან სასესხო ხელშეკრულების დებულება, რომელიც მსესხებელს აყენებს დეფოლტის მდგომარეობაში, თუ მსესხებელი ვერ ასრულებს სხვა ვალდებულებას.

2010 წელს ჩინეთის განვითარების ბანკსა და ეკვადორის ფინანსთა სამინისტროს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება უზრუნველყოფის სახით ითხოვდა სპეციალურ ანგარიშს, რომელსაც გააკონტროლებდა ჩინური მხარე.

უგანდა

2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს დეფოლტის შემთხვევაში აეროპორტის ჩინეთისთვის გადაცემას. ასევე, შეთანხმება მოიცავს პუნქტს, რომლის თანახმადაც აეროპორტის შემოსავლები კონკრეტულ დეპონირების ანგარიშზე ირიცხება და ტრანზაქციები კონტროლდება ჩინეთის ექსიმბანკის მიერ.

იმავე ხელშეკრულებით ნებისმიერი დავა, იქნება სასამართლო განხილვა თუ არბიტრაჟი ჩინეთში, ჩინეთის კანონმდებლობის შესაბამისად უნდა წარიმართოს.<sup>3</sup>

## ჩინეთის სესხების კომერციული ბუნება

ჩინეთის სასესხო ხელშეკრულებების ზემოთ აღწერილი პუნქტები სახალხო რესპუბლიკის სესხების კომერციულ ბუნებაზე მიანიშნებს. ამ თვალსაზრისით, ჩინეთი, როგორც გამსესხებელი აქტორი, ემიჯნება ისეთ მრავალმხრივ ინსტიტუტებს, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. დაბალი შემოსავლის ქვეყნებისთვის გაცემული ჩინეთის სახელმწიფო სესხების საპროცენტო განაკვეთები საშუალოდ 2-3 %-ია, მაშინ, როდესაც ხსენებული მრავალმხრივი კრედიტორები უმეტესწილად 0 %-იან სესხებს გასცემენ. საშუალო შემოსავლის ქვეყნების შემთხვევაში კი, სახალხო რესპუბლიკის საგარეო სესხები საბაზრო პირობების შესაბამისია. მაგალითისათვის, 2010 წელს, ეკვადორმა ჩინეთის ექსიმბანკისგან ისესხა 1.7 მლრ დოლარი. ჩინურმა მხარემ აღნიშნული ვალი გასცა 7 პროცენტიანი საპროცენტო განაკვეთითა და 15 წლიანი გადახდის ვადის პირობით.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის საგარეო სესხებისგან განსხვავებით, პარიზის კლუბის წევრი კრედიტორი სახელმწიფოების მიერ დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის უზრუნველყოფილი ფინანსების 70 % ოფიციალური განვითარების დახმარების სახითაა გაცემული. კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში აღნიშნული კაპიტალი მიედინება, როგორც მინიმუმ 25 %-იანი გრანტის ელემენტის შემცველი შეღავათიანი სესხები. ასევე, აშშ, როგორც საერთაშორისო განვითარების ფინანსების გამცემი აქტორი, პარტნიორებს, სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში, უმეტესწილად გრანტებით უზრუნველყოფს. შესაბამისად, საერთაშორისო განვითარების დაფინანსების კუთხით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და დასავლური კრედიტორების პრაქტიკა განსხვავებულია.

<sup>3</sup> ბუნებრივია, ისევე როგორც სხვა ხელშეკრულებები, 2015 წლის ხელშეკრულებაც კონფიდენციალურია, თუმცა ინფორმაცია რომელსაც მედია ავრცელებდა უგანდის პარლამენტის იმ კომიტეტის თავმჯდომარის (ჟოელ სენიონია) ინფორმაციებს ეყრდნობა, ვინც აღნიშნული ხელშეკრულების საპარლამენტო შესწავლა გამახორციელა.




## ჩინეთი, როგორც „ბოლო ინსტანციის კრედიტორი“

განვითარებად ქვეყნებში ჩინეთის ვალების გადახდის სირთულეების ფონზე სახალხო რესპუბლიკა სულ უფრო მზარდი ტენდენციით გასცემს საგანგებო/დამხმარე სესხებს, რაც მას „ბოლო ინსტანციის კრედიტორად“ აქცევს. 2022 წლისათვის ჩინეთის საგანგებო სესხების ოდენობამ 40 მილიარდ დოლარს მიაღწია. აღნიშნული მიდგომის შედეგად, ჩინეთი კონკურენციას უწევს ისეთ მრავალმხრივ ინსტიტუტებს, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რადგან კრიზისულ მდგომარეობაში არსებული ქვეყნებისთვის დამხმარე სესხების გაცემა, ძირითადად, აღნიშნული ინსტიტუტის პრეროგატივას წარმოადგენდა. დასავლურ ინსტიტუტებზე დამოკიდებულების შემცირება კი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას განვითარებად სამყაროში უფრო მეტი პოლიტიკური გავლენის მოპოვების შესაძლებლობას აძლევს.

# China's Belt and Road Rescue Lending Soars



Yearly amounts of cross-border rescue lending by China (in billion U.S. dollars)



All years including rollovers  
Source: IFW Kiel



წყარო: <https://www.statista.com/chart/31150/yearly-amounts-of-cross-border-rescue-lending-by-china/>